ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11/167

ქ. თბილისი 27დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი დირექტორ დავით სალაღაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს„ელიტა ბურჯი“ს/კ: 206120437 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგებილი დირექტორ დავით ქვირიას სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის წესის“ მე-4 მუხლის, მე-7 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22დეკემბრის №2615 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 8დეკემბრის №3429 განკარგულების (SMP 160003180) შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები

1.1.„ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის შენიშვნები.

1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3.„მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაცშემსყიდველთანგააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ადგილი

2.1.„ხელშეკრულების“საგანიაავეჯის(CPV – 39100000)(დანართ N1-ის მიხედვით) შესყიდვა და მისი შემდგომი მონტაჟი, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.2. მიწოდების ადგილი:ქ. თბილისი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, სამთავრობო გასასვლელი.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1.„ხელშეკრულების“ ობიექტია „შემსყიდველისთვის“ 2.1 პუნქტში მითითებულისაქონლისმიწოდება.

3.2.„მიმწოდებელი“იღებსვალდებულებასუზრუნველყოს„ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საქონლისმიწოდებაწინამდებარე ხელშეკრულების7.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში ანგარიშსწორებიდან60 (სამოცი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1.„ხელშეკრულების“ ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 52 062 (ორმოცდათორმეტი ათას სამოცდაორი) ლარს.
4.3 სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს 10%-იან გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
4.4. „ხელშეკრულების“ ფასი შეიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება„ხელშეკრულების“ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5.2. „მიმწოდებელი“მიწოდებულ საქონელზე იძლევაერთწლიან საექსპლოატაციო გარანტიას.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის“ რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.
7.3. „შემსყიდველი“ განახორციელებს „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორებას, შესყიდვის ობიექტის ღირებულების სრული ოდენობით, 52 062 (ორმოცდათორმეტი ათას სამოცდაორი) ლარი, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბრის №2615 განკარგულების თანახმად.
7.4 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ისა და ფორმა N2-ის საფუძველზე;
7.5. ანაზღაურების ადგილი: ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს „მიმწოდებელს“„ხელშეკრულების“ ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ფასის ანაზღაურება, „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვადაში.
- მოითხოვოს „შემსყიდველისგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში;
- 07 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს შესრულების გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომლის ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით აღემატება სამუშაოების შესრულების ვადას;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის „ხელშეკრულებით“ დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების“ ღირებულების 5%-ს, მხარეს რომელსაც მიადგა ზიანი, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30აპრილის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორივალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდესხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილად.
11.3.„ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. „ხელშეკრულების“ დამდები რომელიმე მხარის მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ „ხელშეკრულების“ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2.„ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორითრაც უშუალოდ არ მომდინარეობს მხარეებისგან.

12.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე აპელირების უფლებას და ეკისრება პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებითა“ და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს ცნობით. დადასტურება არ არის აუცილებელი საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის ურთიერთშეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარესდავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1.„შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის შესრულების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა„ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“მოთხოვნებთან.

14.2. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გურამ ალთუნაშვილი.

15. სხვა პირობები

15.1.„ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობები რეგულირდებასაქართველოს კანონმდებლობით.

15.2. „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.„ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, ორ (2) იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5.„ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

15.6. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

15.7.„მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

15.8.„ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

16.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ,,საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“	შპს ,,ელიტა ბურჯი“
ს/კ: 204522793	ს/კ: 206120437
ქ.თბილისი, დადიანი/გალაქტიონის ქ. №13/18,	იურ. მის: ქ.თბილისი,ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№118ა
სახელმწიფო ხაზინა	სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი:TRESGE22	ბანკისSWIFTკოდი: CRTUGE22
ა/ა:GE24NB0330100200165022	ა/ა: GE69CR0000000000373605
დავით სალაღაია დირექტორი	დავით ქვირია დირექტორი

ბ.ა.ბ.

დანართი N1

ტექნიკური დავალება - ფასების ცხრილი

	ჩამონათვალი:	***რაო-ბა***	***ფასი ერთეულზე***	***ფასი***
1	მდფ-ით ბარის, ღიობის მოპირკეთება, დახლის მონტაჟი	1კომპ	16 714,0	16 714,0
2	N1 - მდფ-ის დეკორატიული მაგიდის (800*600*450მმ-პატარა) დამზადება **(შეღებილი)**	3ც	830,0	2 490,0
3	N2 - მდფ-ის დეკორატიული მაგიდის (1500*1050*550მმ-საშუალო) დამზადება **(შეღებილი)**	3ც	1 016,0	3 048,0
4	N3 - მდფ-ის დეკორატიული მაგიდის (1500*600*840მმ) დამზადება **(შეღებილი)**	5ც	992,0	4 960,0
5	მდფ-ით რეცეფშენის მოპირკეთება, დახლის მონტაჟი	1კომპ	10 399,0	10 399,0
6	საკონფერენციო მაგიდის (3600*1600*750მმ) დამზადება-მონტაჟი **(შეღებილი)**	1ც	4 092,0	4 092,0
7	ტელევიზორის საკიდი კედლის პანელი: მდფ პანელების მონტაჟი	1კომპ	1 003,0	1 003,0
8	მდფ კარადის (920*800*550მმ) დამზადება **(შეღებილი)**	3ც	1 466,0	4 398,0
9	მდფ მაგიდის (1600*850*500მმ) დამზადება **(შეღებილი)**	1ც	2 098,0	2 098,0
10	დაშპონილი მდფ მაგიდის (2200*1400*750მმ) დამზადება	1ც	2 600,0	2 860,0
	ჯამში			**52 062,0**